თემა 13

საკვები

Еда

ამოცანები:

- ბავშვებისათვის საკვებთან დაკავშრებული ლექსიკური მარაგის გაფართოვება
- საკვების მიმართ საკუთარი დამოიდებულების გამოვლენა
- ჯანმრთელი და არაჯანმრთელი საკვების გარჩევა
- საკვების კატეგორიზება კვების დროის და ტიპის მიხედვით
- საკვების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების შეცნობა და მარტივი ფრაზებით გამოხატვა.

სასწავლო არსებითი სახელები:	ძირითადი ფრაზები
პური, კარაქი, ყველი, თაფლი, კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, სალათი. ხორცი, ვაშლი, მსხალი, ნამცხვარი, სადილი, საუზმე, ხილი და ბოსტნეული, სასარგებლო, გემრიელი.	• რა გემრიელია! • ხილი სასარგებლოა. • დედამ ხორცის სუფი მოამზადა. • მამამ პამიდვრის და კიტრის სალათა მოამზადა. • მე მიყვარს პური, კარაქი და თაფლი საუზმეზე. • მოდით, ვისადილოთ! • მოდით, ვისაუზმოთ!

აქტივობა 1: - ლექსიკური მარაგის გააქტიურება

დამალობანა - ბავშვი იღებს ხილს და დამალავს. სხვა ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რომელი ხილია. შესაძლებელია ბარათებით ხილის ჩანაცვლებაც.

ტექსტი: ტატას კატა ხატავს

ეს ტატაა. ტატა სტუდენტია.

ეს ტატას კატაა. ტატას კატა ხატავს. ტატას კატა მართლა ხატავს. ტატას კატა ბოსტნეულს ხატავს.

-დახატე კიტრი! - ეუბნება ტატა კატას.

კატა ხატავს კიტრს.

-დახატე კარტოფილი! - ეუბნება ტატა კატას.

კატა ხატავს კარტოფილს.

-დახატე სტაფილო! - ეუბნება ტატა კატას.

კატა ხატავს სტაფილოს.

-დახატე კომბოსტო! - ეუბნება ტატა კატას.

კატა ხატავს კომბოსტოს.

-დახატე ბოსტანი, ბოსტანში ცოტა კიტრი, კომბოსტო, კარტოფილი, სტაფილო! - ეუბნება ტატა კატას.

კატა ხატავს ბოსტანს. ბოსტანში ცოტა კიტრს, კომბოსტოს, კარტოფილს და სტაფილოს.

აქტივობა 2: რა გემრიელია

დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ბარათები, რომლებზეც გამოსახული იქნება საუზმის მაგიდა, ხორციანი სადილი, ხილის მაგიდა, სალათა. ახლა კი დაურიგეთ მათ სხვადასხვა საკვების ცალკეული სურათები. დასვით ბავშვები 4 მაგიდაზე და თითოეულ მაგიდას სთხოვეთ, რომ აირჩიონ სურსათი: ა. საუზმისთვის; 2. სალათისთვის; 3 სასარგებლო და გემრიელი საკვები; 4 სადილისთვის. დაჯგუფებული საკვები განიხილეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება შესწორებები შეიტანონ კატეგორიებში.

აქტივობა 3: - ვამზადებთ საჭმელს

აჩვენეთ მოსწავლეებს ვიდეო საკვების დამზადების ინსტრუქცია. სთხოვეთ, რომ გაიმეორონ ფრაზები, რომლებსაც მსახიობები ამბობენ: რა გემრიელია! ლალიმ ხორცის სუფი გაამზადა. გიამ პამიდვრის და კიტრის სალათა გაამზადა. ახლა კი, სთხოვეთ ბავშვებს, რომ ერთმანეთისთვის მოამზადონ საკვები და დიალოგები წარმართონ:

- რა მოამზადე?
- ხორციანი სადილი.
- რა გემრიელია?
- რა მოამზადე?
- საუზმე.
- რა გვაქვს საუზმეზე?

- კარაქი, პური, ყველია.
- თაფლი არ გვაქვს?
- თაფლი გვაქვს.
- რა გემრიელია?
- რას ამზადებ?
- სალათს.
- როგორ ამზადებ?
- პამიდვრის და კიტრისგან. ეს სასარგებლოა.
- რა გემრიელია!
- ეს რა არის?
- ეს ვაშლია და მსხალია.
- ვაშლი და მსხალი ხილია. ხილი სასარგებლოა.
- ხილი გემრიელია.

აქტივობა 4: გააფერადე

დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა სურსათის შავ-თეთრი სურათები და სთხოვეთ გააფერადონ. გაფერადებული სურათები გამოფინეთ დაფაზე და სთხოვეთ ბავშვებს გააკეთონ დასკვნები, რა ფერია ვაშლი? რა ფერია მსხალი? კიდევ რა ფერია ვაშლი? რა ფერია ყველი? კარაქი? თაფლი? პამიდორი? კიტრი?

აქტივობა 5:

დაურიგეთ მოსწავლეებს სხვადასხვა პროდუქტების სარეკლამო გვერდებიდან ამოჭრილი სურსათისა და პროდუქტების ფოტოები. გაუკარით დაფაზე სპეციალური ბანერი, რომლებიც 4 რიგს მოიცავს:

ხილი და ბოსტნეული:	რძის ნაწარმი:	ხორცეული:	ბურღულეული:

თითოეული ბავშვი მიდის პროდუქტების სურათებიდან, ირჩევს და აწებებს შესაბამის კატეგორიაში. არ არის აუცილებელი, რომ ბავშვებმა იცოდნენ ყველა პროდუქტის და სურსათის სახელი. მასწავლებელი ასახელებს პროდუქტის სახელს და სთხოვს სხვა ბავშვებს დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ბავშვის არჩევანს.

რესურსები:

გასაფერადებელი (სამუშაო ფურცლები)

კარტები-ნახატები:

1. ხილი და ბოსტნეული:
2. რძის ნაწარმი:
3. ხორცეული:
4. ბურღულეული: